



**„რბილი ძალა“ თუ ჰიბრიდული ომი ? როგორ განმარტავს საქართველოს ხელისუფლება ეროვნული უსაფრთხოების ჭრილში ამ ორ ტერმინს და შესაბამის საფრთხეს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სფეროების ოფიციალურ დოკუმენტების დონეზე**

ნატოსა და ევროკავშირის ოფიციალურ დოკუმენტებში ტერმინი „ჰიბრიდული ომი“ რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ დამკვიდრდა. 2015 წელს ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა თურქეთში ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელ ფრედერიკა მოგერინისთან შეხვედრაზე რუსეთის ჰიბრიდული ომის წინააღმდეგ ერთობლივი თანამშრომლობის გზებზე ისაუბრა. ნატო ადანაშაულებდა რუსეთს უკრაინასთან კონფლიქტში ჰიბრიდული ომის გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც ახდენდა კლასიკური სამხედრო მეთოდების კომბინირებას არაკონვენციურ პარტიზანულ ტაქტიკასთან, ისევე როგორც ისეთი არასამხედრო საშუალებების გამოყენებას, როგორცაა კიბერშეტევები და პროპაგანდა.<sup>1</sup>

ფრენკ ჰოფმანის თანამედროვე კონფლიქტების სხვადასხვა ფორმის ანალიზში ჰიბრიდული საფრთხეები შემდეგნაირად არის განსაზღვრული: ჰიბრიდული საფრთხეებია, როდესაც ნებისმიერი მოწინააღმდეგე ერთდროულად იყენებს კონვენციური იარაღის, არარეგულარული ტაქტიკის, ტერორიზმის და კრიმინალური ქცევის შესაბამის კომბინაციას და საომარი მოქმედებების სივრცეს საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ფრენკ ჰოფმანის აზრით „ჰიბრიდული საფრთხის განსაზღვრების პრობლემა ის არის, რომ ის ფოკუსირებულია სხვადასხვა ტაქტიკის კომბინაციაზე, რომლებიც ძალადობასა და ომთან (კრიმინალური ქმედებების გამოკლებით) არის ასოცირებული, მაგრამ საერთოდ არ მოიცავს სხვა, არამალადობრივ ქმედებებს“.<sup>2</sup>

ნატოს გენერალური მდივნის 2017 წლის ანგარიშში ჰიბრიდული ომის განმარტება შემდეგნაირადაა მოცემული: „ჰიბრიდული ომი მოიცავს სამხედრო და არასამხედრო, ფარულ და ღია ტაქტიკას, დეზინფორმაციისა და პროპაგანდიდან დაწყებული არარეგულარული შეიარაღებული დაჯგუფებით თუ რეგულარული ძალების გამოყენებით დამთავრებული. ის შლის ზღვარს ომსა და მშვიდობას შორის. თანამედროვე ჰიბრიდული საფრთხე მოიცავს

1 NATO, EU To Work Against 'Hybrid Warfare'. <https://www.defensenews.com/global/europe/2015/05/14/nato-eu-to-work-against-hybrid-warfare/>

<sup>2</sup> Hoffman, F.G. Hybrid Warfare and Challenges, JFQ / issue 52, 1st quarter 2009, 34 6 Hoffman, F.G. On Not-So-New Warfare: Political Warfare vs Hybrid Threats, 2014

დახვეწილ კიბერშეტევებს, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ზეწოლას და მოწინააღმდეგის მოწყვლადობის გამოყენებას.<sup>3</sup>

ნატოს გენერალური მდივნის მომდევნო 2018 წლის ანგარიშში კი ჰიბრიდული ომის განმარტებისას ნათქვამია: „ჰიბრიდული ომის საუკუნეში ქვეყნებმა შეიძლება არ იცოდნენ რომ მათზე განხორციელდა ჰიბრიდული თავდასხმა, სანამ სერიოზულ ზიანს არ მიიღებენ. ჰიბრიდული ომის მეთოდები, როგორცაა პროპაგანდა, მოტყუება, საბოტაჟი და სხვა არასამხედრო ტაქტიკა, დიდი ხანია გამოიყენება სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების მხრიდან მოწინააღმდეგის დესტაბილიზაციის მიზნით.“<sup>4</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ნატომ და ევროკავშირმა ჰიბრიდული ომის მეთოდებით ბრძოლაზე რუსეთის მხრიდან საუბარი მხოლოდ უკრაინაში აგრესიის შემდეგ დაიწყო, რუსეთი მას თავის მეზობელი საქართველოს წინააღმდეგ დიდი ხნით ადრე იყენებდა და 2008 წლის აგვისტოს სამხედრო კონფლიქტი იყო კულმინაცია, რომელსაც წინ უსწრებდა ჯერ 90-იან წლებში ე.წ. გაყინული კონფლიქტების შექმნის მხარდაჭერა, შემდგომ ეტაპზე კი პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და საინფორმაციო ომის წარმოების ინსტრუმენტების გამოყენება საკუთარი ინტერესების უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, ვფიქრობთ, საინტერესოა თუ როგორ აფასებს საქართველოს მთავრობა რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებს და რა მეთოდებს უპირისპირებს მათ საკუთარი ინტერესების დასაცავად.

საქართველოს წინააღმდეგ ჰიბრიდული ომის ტაქტიკის გამოყენებაზე ოფიციალურმა უწყებებმა თავის უწყებრივ თუ სტრატეგიულ დოკუმენტებში საუბარი 2017 წლიდან დაიწყეს. ვინაიდან ქვეყანას არ გააჩნია ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, ხოლო ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც ეროვნული დონის კონცეპტუალურ დოკუმენტების იერარქიაში პირველია და მისი განახლება ბოლოს 2011 წელს მოხდა, საფრთხეების შეფასების დოკუმენტი კი მიუხედავად იმისა, რომ საიდუმლოა, არ განახლებულა ვადაში დადგენილი წესით, სტატიაში ერთის მხრივ მიმოვიხილავთ ეროვნული დონის კონცეპტუალურ დოკუმენტებს, სადაც საუბარია ჰიბრიდულ საფრთხეებზე. მეორეს მხრივ კი დამატებით ცალკე განვიხილავთ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2017 და 2018 წლების საპარლამენტო ანგარიშებს, რომელშიც ყველაზე მკაფიოდ არის საუბარი ჰიბრიდული ომის მიზნებზე, ამოცანებზე და ტაქტიკაზე. ბოლოს კი წარმოვადგენთ რეკომენდაციებს, იმისთვის,

<sup>3</sup> Secretary general's annual report 2017.

[https://www.nato.int/nato\\_static\\_fl2014/assets/pdf/pdf\\_2018\\_03/20180315\\_SG\\_AnnualReport\\_en.pdf](https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_2018_03/20180315_SG_AnnualReport_en.pdf) „Hybrid warfare involves a combination of military and non-military, covert and overt tactics, from disinformation and propaganda to the deployment of irregular armed groups, to the use of regular forces. It is deliberately designed to blur the lines between war and peace. Modern hybrid threats can include sophisticated cyber attacks, economic and political pressure and exploitation of an adversary's vulnerabilities.“

<sup>4</sup> Secretary general's annual report 2018.

[https://www.nato.int/nato\\_static\\_fl2014/assets/pdf/pdf\\_publications/20190315\\_sgar2018-en.pdf](https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_publications/20190315_sgar2018-en.pdf) The line between war and peace has become blurred. In an age of hybrid war, states may not know they have been attacked until serious damage has been done. Hybrid methods of warfare, **such as propaganda, deception, sabotage and other non-military tactics**, have long been used by states and non-state actors to destabilise adversaries. What is new about the attacks of recent years is their speed, scale and intensity, facilitated by rapid technological change and global interconnectivity.

რომ მთავრობამ შეძლოს ერთი ტერმინოლოგიით და საფრთხეების ერთიანი შეფასების მეშვეობით მოახერხოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვა.

საქართველოს თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტში<sup>5</sup>, რომელიც 2017 წელს არის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ვადა 2020 წლამდე აქვს უსაფრთხოების ლოკალურ გარემოს ნაწილში ჰიბრიდული ომის ტაქტიკაზე არაფერია ნათქვამი. ეს ნაწილი აღწერს რუსული „მცოცავი“ ოკუპაციის, ოკუპირებული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების და იქ რუსული სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგებიდან მომდინარე საფრთხეებს, რომელიც ზრდის პროვოკაციებისა და სამხედრო აგრესიის განახლების რისკს. ამასთან იქვე გამოწვევად მოხსენიებულია „კრემლის მხრიდან ეკონომიკური ბერკეტებისა და „**რბილი ძალის**“ ინსტრუმენტების გამოყენება ქვეყნის ეროვნული ინტერესების საზიანოდ“.

დოკუმენტის შემდგომ ნაწილში, რომელსაც დაგეგმვის ვარაუდები ეწოდება და მოიცავს ასევე 4 წლიან პერიოდს, შესავლის აზრად ნათქვამია, რომ „რუსეთის ფედერაციის მზაობა საერთაშორისო სამართლის ნორმების უგულვებელყოფით, ღია სამხედრო აგრესიის და **ჰიბრიდული მეთოდების** გამოყენებით ხელჰყოს მეზობელი ქვეყნების სუვერენიტეტი, უსაფრთხოების ძირითად გამოწვევად რჩება, თუმცა ჰიბრიდული მეთოდებში რა იგულისხმება შემდგომ ტექსტში აღარ არის ჩაშლილი და ის შემდეგნაირად გრძელდება: „რუსეთის ფედერაციის მზარდი მილიტარიზაცია, სამხედრო ძალების მოდერნიზება და რეგიონზე ზეგავლენის განმტკიცების მცდელობა, ზრდის აგრესიის გაგრძელების რისკს, რაც ნათლად დადასტურდა ყირიმის ანექსიისა და აღმოსავლეთ უკრაინაში განვითარებული მოვლენების დროს.“

რუსეთის ფედერაციის ნაწილში შემდეგი ვარაუდებია მოხსენიებული: „რუსეთი გააგრძელებს ძალისხმევას საქართველოს ეროვნული ერთიანობისა და სამოქალაქო თანხმობის დასუსტების, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის შუღლის გაღვივებისა და მართვადი დესტაბილიზაციის შექმნის მიმართულებით.“<sup>6</sup> კრემლი განსაკუთრებულ აქცენტს გააკეთებს „**რბილი ძალის**“ ელემენტების გაძლიერებაზე იმისათვის, რომ უზრუნველყოს სახელმწიფო ინსტიტუტების შესუსტება, პრო-რუსული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჯგუფების გაძლიერება და მოახდინოს დასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის დისკრედიტაცია. რუსეთის ფედერაცია, პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით განაგრძობს მცდელობას საქართველოს შეუზღუდოს როგორც საერთაშორისო პოლიტიკური მხარდაჭერა, ისე თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისაკენ მიმართული საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობები.“

შესაბამისად, თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტის თანახმად „რბილი ძალის“ ელემენტები გამოიყენება შიდა უსაფრთხოების შესასუსტებლად, რაც მდგომარეობს პრო-რუსული საზოგადოების და პოლიტიკური ჯგუფების გაძლიერებაში და სახელმწიფო ინსტიტუტების შესუსტებაში.

<sup>5</sup> თსმ 2017-2020. <https://mod.gov.ge/uploads/archive/pdf/SDR-GEO.pdf>

<sup>6</sup> შენიშვნა: აქ ეს ნაწილი თავსებადობაშია სუს-ის ანგარიშთან ჰიბრიდული ომის მიზნების ნაწილში.

კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელსაც საკომუნიკაციო სტრატეგია 2017-2020<sup>7</sup> ეწოდება და 2017 წელს არის თავდაცვის უწყების მიერ დამტკიცებული, სიტყვასიტყვით მეორდება თავდაცვის სტრატეგიული დოკუმენტში მოხსენიებული ნარატივი ჰიბრიდული მეთოდების გამოყენების შესახებ, ერთის განსხვავებით, სადაც ვკითხულობთ, რომ „ყირიმის ანექსიამ და უკრაინის აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენებმა, რუსეთის მიერ განხორციელებულმა კიბერ შეტევებმა და საინფორმაციო ომის გაძლიერებამ მნიშვნელოვნად გაზარდა უსაფრთხოების გამოწვევები გლობალურ დონეზე“. შესაბამისად სტრატეგიაში ნათქვამია, რომ საქართველოსათვის უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქცა რუსეთის „რბილი ძალის“ პოლიტიკასთან გამკლავება, ასევე, მოსალოდნელი ჰიბრიდული ომების სპეციფიკის გათვალისწინება და მასთან ადაპტაცია.“

აქედან გამომდინარე ნათელია, რომ რუსეთის ქმედებების ჩამონათვლისას ცალკე ადგილი ეთმობა კიბერშეტევებს, საინფორმაციო ომს. ცალკე არის მოხსენიებული ე.წ „რბილი ძალის“ პოლიტიკა, რომელიც რაში მდგომარეობს არ არის განმარტებული და ცალკე კი ჰიბრიდული ომების სპეციფიკას, რომელსაც ესაჭიროება გათვალისწინება და ადაპტაცია, თუმცა როგორ ამაზე პასუხიც არ ჩანს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვის სფეროში ეროვნულ თუ უწყებრივ დოკუმენტებში რუსულ ჰიბრიდული ომის მეთოდებზე გაკვრით არის საუბარი, რაში მდგომარეობს ეს მეთოდები ამის გაშლა აღარ ხდება და საფრთხეები მაინც „რბილი ძალის“ პოლიტიკასთან არის სწორებაში და საკომუნიკაციო სტრატეგიის თანახმად ის საინფორმაციო ომის კომპონენტს ფარავს, ისიც ნაწილობრივ.

კიდევ ერთი სტრატეგია ეროვნული უსაფრთხოების სფეროში, რომელიც საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა და 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია<sup>8</sup> ეწოდება, ასევე საუბრობს ჰიბრიდულ საფრთხეებზე<sup>9</sup>. დოკუმენტის მეორე თავში, რომელიც აღწერს უსაფრთხოების საერთაშორისო გარემოს, რატომღაც საქართველოს უსაფრთხოების გარემოც არის მოყვანილი და ის შემდეგნაირადაა აღწერილი: „რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია და ანექსიისკენ გადადგმული ნაბიჯები, მზარდი მილიტარიზაცია, გახშირებული პროვოკაციები, მათ შორის საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართებითა და სხვა ხელოვნური ბარიერებით თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა, საოკუპაციო ხაზსა და ოკუპირებულ რეგიონებში უკანონო დაკავებები და გატაცებები, ადამიანის უფლებების დარღვევები,

<sup>7</sup>საკომუნიკაციო სტრატეგია 2017-2020 [https://mod.gov.ge/uploads/archive/documents/strategia\\_geo.pdf](https://mod.gov.ge/uploads/archive/documents/strategia_geo.pdf)

<sup>8</sup> 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია.

<http://www.mfa.gov.ge/getattachment/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/2019-2022-clebis-sagartvelos-sagareo-politikis-strategia.pdf.aspx>

<sup>9</sup> 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია. თავი 2. „სახეზეა გლობალური უსაფრთხოების განმსაზღვრელი საერთაშორისო შეთანხმებების გადახედვა, გამაღებელი შეიარაღება, მათ შორის მაღალტექნოლოგიური უახლესი ტიპის შეიარაღების გავრცელება და კოსმოსის აქტიური მილიტარიზაცია, მზარდი კონვენციური და ჰიბრიდული საფრთხეები და საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების უგულვებელყოფით, ძალისმიერი მეთოდებით მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების განმსაზღვრელი წესების ცვლილების მცდელობა.“



ეთნიკური დისკრიმინაცია და სხვადასხვა სახის უკანონო შეზღუდვების დაწესება, ასევე რუსეთის მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შეუსრულებლობა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების უგულვებელყოფა სერიოზულ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ რეგიონის, არამედ მთლიანად ევროპული და ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებას. რუსეთის ფედერაცია თავისი საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, სამხედრო ძალასთან ერთად, სულ უფრო აქტიურად იყენებს ჰიბრიდული ომის მეთოდებს და ცდილობს ბიძგი მისცეს ცალკეული ქვეყნების საზოგადოების ყველა ფენაში ტრადიციულად ჩამოყალიბებული დასავლური ღირებულებების გადახედვის პროცესს.“ უნდა აღინიშნოს, რომ ეს აზრები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ რუსეთი საგარეო პოლიტიკური მიზნებისთვის ერთის მხრივ იყენებს სამხედრო ძალას (აქ უნდა იგულისხმებოდეს სავარაუდოდ კონვენციური ძალა) და მეორეს მხრივ ჰიბრიდული ომის მეთოდებს, რომლის სამიზნეც არის დასავლური ღირებულებები და მიზანი კი მისი გადახედვის პროცესი. თუმცა არც აქ, ისევე როგორც არც სხვა ეროვნული დონის კონცეპტუალურ დოკუმენტებში არ არის განმარტებული რას გულისხმობს მთავრობა ჰიბრიდული ომის მეთოდებში.

რაც შეეხება ე.წ. „რბილ ძალას“, ამ კუთხით მეტი სიცხადე შეაქვს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია 2019-2022-ს, თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტისგან განსხვავებით. ის კიბერსაფრთხეებთან ერთად ცალკე გამოყოფს „რბილი ძალის“ როლს საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელიც დოკუმენტის თანახმად „გამოიყენება პოლიტიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო და ტექნოლოგიური საშუალებები“. საინფორმაციო ომის კონტექსტში უნდა განვიხილოთ ასევე შემდეგი ჩანაწერიც ზემოხსენებულ დოკუმენტში: „ინფორმაციის გავრცელების სისწრაფე და სოციალური ქსელების გაზრდილი როლი, ასევე მიზნების მისაღწევად პროპაგანდისტული და დეზინფორმაციული მეთოდების გამოყენება ცალკეული ქვეყნებისა და ინსტიტუტების მხრიდან დროულად ადაპტირებასა და რეაგირებას მოითხოვს“<sup>10</sup>. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ლოგიკურად მივდივართ იმ აზრამდე, რომ საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში მოხსენიებული ჰიბრიდული ომის მეთოდები, რომლის მიზნად მხოლოდ დასავლური ღირებულებების გადახედვის პროცესია მოხსენიებული, უნდა ემთხვეოდეს „რბილი ძალის“ გამოყენების მიზნებსაც, სტრატეგიაში ეს მკაფიოდ არ იკითხება და ჰიბრიდული ომის მეთოდები განცალკევებულია ე.წ. „რბილი ძალის“ მეთოდებისაგან.

განსხვავებულ მიდგომას გვთავაზობს ჰიბრიდულ საფრთხეებთან მიმართებაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. მიუხედავად იმისა, რომ სუს-ის ყოველწლიური საპარლამენტო ანგარიში არ განეკუთვნება ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების ნუსხას, სუს-ი არის ეროვნული უსაფრთხოების სფეროში მომუშავე სახელმწიფო უწყება და კანონიდან გამომდინარე ჩართულია ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის და კოორდინაციის ნაწილში<sup>11</sup>, მათ შორის ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების უწყებათშორის პროცესში.

<sup>10</sup> <http://www.mfa.gov.ge/getattachment/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/2019-2022-clebis-saqartvelos-sagareo-politikis-strategia.pdf.aspx> გვ.2

<sup>11</sup> სუს-ის უფროსი არის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მუდმივმოქმედი წევრი კანონით.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საპარლამენტო ანგარიშში ჰიბრიდული ომის მიზნებზე, ამოცანებსა და ტაქტიკაზე კონტრტერორისტული საქმიანობის ნაწილში ჩანაწერი 2017 წლიდან ფიქსირდება და 2018 წლის საანგარიშო დოკუმენტში უფრო ვრცლად იმლება. ასე მაგალითად 2017 წელს სუს-ის ანგარიშში<sup>12</sup> საქართველოში უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ძირითადი ამოცანები შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: „ქართულ საზოგადოებაში ანტიდასავლური განწყობების გაღვივება; საერთაშორისო დონეზე საქართველოს, როგორც საიმედო პარტნიორის იმიჯის შელახვა; საზოგადოებაში უნდობლობის, გაურკვევლობის, უიმედობისა და ნიჰილიზმის გაჩენა; ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე დესტაბილიზაციის კერების შექმნა, რათა ქვეყანაში განვითარდეს დეზინტეგრაციული პროცესები და მოხდეს ქართული საზოგადოების პოლარიზაცია“.

ამ ამოცანების შესასრულებლად კი ისინი აქტიურად იყენებდნენ **ჰიბრიდული ომის შემუშავებულ ტაქტიკას**, რომელიც გატარებული კონტრდაზვერვითი ღონისძიებების შედეგად გამოიკვეთა, „გამოირჩევა მრავალფეროვნებით და მიმართულია ქვეყანაში ეროვნული ინტერესების, დემოკრატიული ღირებულებების, ინსტიტუტებისა და კანონის უზენაესობის წინააღმდეგ“. ტაქტიკური ქმედებები კი შემდეგნაირადაა გადმოცემული ანგარიშში: „პროპაგანდისტული მედიაკამპანიისა და დეზინფორმაციის კომპონენტების, კიბეროპერაციებისა და ცალკეული კიბერშეტევების, დესტრუქციული პოლიტიკური ჯგუფებისა და საზოგადოებრივ-პოპულისტური გაერთიანებების გამოყენება“. ამასთან ერთად უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები ანგარიშის მიხედვით “ენერგეტიკულ და ეკონომიკურ რესურსებს ზეგავლენის იარაღად იყენებენ, ახორციელებენ ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციისა და მიკერძოებული არასამთავრობო ორგანიზაციების ხელშეწყობას ფარული სპეციალური ღონისძიებების გზით“. შესაბამისად სახეზე გვაქვს ჰიბრიდული ომის ტაქტიკის კონტექსტში როგორც საინფორმაციო ომის (დეზინფორმაცია და პროპაგანდა, კიბერშეტევები), ისევე ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება.

თუ ამ ჩანაწერს 2018 წლის ანგარიშს<sup>13</sup> შევადარებთ, ვნახავთ რომ ვითარება ამ კუთხით გართულებულია, ისევე როგორც არეალი ჰიბრიდული ომის მიმართულებების თუ ტაქტიკური ამოცანების მხრივ. ანგარიშში ნათქვამია, რომ კონტრდაზვერვითი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა ქვეყნის უსაფრთხოების წინაშე მდგარი ძირითადი გამოწვევები, მათ შორის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, დესტაბილიზაციის, არეულობის ცალკეული კერების შექმნისა და საზოგადოების პოლარიზაციის მცდელობა, ეკონომიკური ექსპანსიის საფრთხე, ქვეყნის საგარეო კურსის შეცვლისა და სუვერენიტეტის ხელყოფის მცდელობა. ფაქტია, რომ გასულ წელთან შედარებით უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევების ნუსხა გაზრდილია და მეტად არის დაკონკრეტებული ეროვნული ინტერესების კონტექსტში ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის ხელყოფის ჭრილში არსებული საფრთხეები.

<sup>12</sup> საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 01.01.2017-31.12.2017. <https://ssg.gov.ge/uploads/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/angarihi%202017.pdf>

<sup>13</sup> საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 01.01.2018-31.12.2018 <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/114072/1-6041-19>

ანგარიშის თანახმად 2018 წელს საქართველოში გავლენის გაძლიერებით დაინტერესებული ქვეყნები საკუთარი მიზნების მისაღწევად აქტიურად იყენებდნენ **ჰიბრიდული ომის მეთოდებს**. რაც შეეხება ამ მეთოდების გამოყენებისას უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების აქტივობების მიზნებს, ანგარიშში ის შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების დაპირისპირება, მოსახლეობაში ანტიდასავლური განწყობების გაღვივება, საქართველოს ორმხრივი ურთიერთობების გაუარესება რეგიონის ქვეყნებსა და სტრატეგიულ პარტნიორებთან (ეს სიახლეა ამ ანგარიშის) საქართველოს, როგორც დემოკრატიული და სტაბილური ქვეყნის იმიჯის შელახვას, ეკონომიკური ზეგავლენის ბერკეტების მოპოვებას, მუდმივი შიდაპოლიტიკური დამაბულობის ხელშეწყობას, საზოგადოებაში გაურკვევლობისა და ნიჰილიზმის დანერგვას“. იქვე აღნიშნულია, რომ **ჰიბრიდული ომის ფარგლებში დაინტერესებული მხარეების მიერ ხდებოდა დესტრუქციული პოლიტიკური ძალებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების, ასევე მედია საშუალებებისა და სოციალური ქსელების აქტიური გამოყენება**.

რაც შეეხება **ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტებს**, ისინი შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: დეზინფორმაციული კამპანია, რომელიც თავის მხრივ ჩაშლილია ყალბი ამბებით, ფაქტების დამახინჯებითა და ისტორიის გაყალბებით და მიზნად ისახავდა მოსახლეობის პოლარიზაციას, მცდარი შეხედულებებისა და შიშის გავრცელებას, საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირებით მნიშვნელოვან პროცესებზე გავლენის მოხდენას.

ანგარიშში ცალკე ადგილი ეთმობა კიბერსაშუალებების გამოყენებას, რომელიც ხორციელდებოდა უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების და მათ მიერ კონტროლირებად ჰაკერული ჯგუფების მიერ სამთავრობო და კრიტიკულ ინფრასტრუქტურის ობიექტებზე კიბერშეტევებისა და კიბერსადაზვერვო ოპერაციების განხორციელებაში.

ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მცდელობას რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ 2018 წელს ცალკე აბზაცი ეთმობა, რაც წინა წლის საანგარიშო მოხსენებაში კონტრდაზვერვითი საქმიანობის თავში არ გვხვდებოდა. ამასთან, ანგარიშში ნათქვამია, რომ მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დამრღვევ პირები და „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის კუთხით გამოძიების მიზნით 9 სისხლის სამართლის საქმე იქნა აღძრული.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონოდ განთავსებული რუსული სამხედრო ძალების მხრიდან განხორციელებული სხვა არაკანონიერი ქმედებების გარდა ანგარიშში ნახსენებია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიების ფარული ოპერაციების ჩასატარებლად გამოყენების მცდელობები, რაც ასევე სიახლეა ამ ანგარიშში. „აღნიშნული რეგიონებიდან მომდინარეობდა პროვოკაციული და დესტრუქციული ხასიათის ქმედებების ინსპირირებისა და დესტაბილიზაციის კერების შექმნის საფრთხე“-ნათქვამია დოკუმენტში.

ანგარიშის თანახმად უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების გარკვეული ქმედებები გამოიკვეთა საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლის მიმართულებითაც. „უცხო ქვეყნის კომერციული

ორგანიზაციები ცდილობდნენ მათ ხელთ არსებული ეკონომიკური შესაძლებლობები ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური ვითარების მანიპულირებისათვის გამოეყენებინათ.“

და ბოლოს ჰიბრიდული ომის კონტექსტშია პირველად სუს-ის ანგარიშში განხილული საქართველოს შეიარაღებული ძალების დანაყოფების კონტრდაზვერვითი უზრუნველყოფის კონტექსტში ქვეყნის თავდაცვის სისტემის ნატოს სტანდარტებთან მიახლოების პროცესში უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ინტერესი თავდაცვის სფეროში არსებული ვითარების, მიმდინარე პროცესებისა და სამომავლო გეგმების მიმართ.

## დასკვნა

სუს-ის ანგარიშში ნათლად იკვეთება უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომის მეთოდები და ტაქტიკური ქმედებები, რომელიც საკმაოდ ვრცლად არის ჩაშლილი როგორც ზემოთ ჩანს. ე.წ. „რბილი ძალა“ კი, რომელსაც ქვეყნის ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტები ახსენებენ ჰიბრიდული ომის მეთოდების გვერდით არსად არის ამ ანგარიშში მოხსენიებული.

სუს-ის ანგარიში და მასში განმარტებული ჰიბრიდული საფრთხეები, ამოცანები და ტაქტიკა ყველაზე ნათელი ილუსტრაციაა იმისა, რომ ქვეყანაში არ მიმდინარეობს ჯანსაღად ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვა უწყებათშორის პროცესში. რადგან როგორც გამოჩნდა ყველა უწყება (იქნება ეს თავდაცვის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო თუ სუს-ი) თავისებურ კვალიფიკაციას აძლევს რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებს და ხან ჰიბრიდულ მეთოდებს უწოდებს მას და ხან „რბილ ძალას“. აქვე დავძენდი, რომ პრობლემა სულაც არ მდგომარეობს სახელში, არამედ ერთიან შეფასებაში, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ერთიანი სამთავრობო მიდგომას. ნებისმიერი სტრატეგიის დაგეგმვაც აქედან უნდა მომდინარეობდეს ეროვნულ და შემდეგ უწყებრივ დონეზე.

საიდუმლო არაა ის ფაქტი, რომ ქართული ოცნების ხელისუფლებამ 2017 წლის დეკემბრიდან საკანონმდებლო ცვლილებებით ამა წლის 2 აპრილამდე ანუ სრული წელიწადნახევარზე მეტით ერთი ხელისმოსმით გააუქმა ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დამგეგმავი და მაკოორდინებელი სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების საბჭო, ისევე როგორც ეროვნული უშიშროების საბჭო და ეს მოვალეობა ამავე კანონით მთავრობას დააკისრა. მთავრობის მუშაობის შედეგი კი ამ კუთხით სახეზეა. მთავრობამ გარდა იმისა, რომ ვერ მოახერხა ეროვნული უსაფრთხოების სფეროში კონცეპტუალური დოკუმენტის საფრთხეების შეფასების განახლება 2019 წლისათვის, ვერ უზრუნველყო ერთიანი ტერმინებით ამ საფრთხეების აღწერა ქვედა დონეზეც.

შესაბამისად, ვფიქრობ რომ მას შემდეგ, რაც ამოქმედდება ახალი ეროვნული უსაფრთხოების საბჭო და მისი აპარატი და მოხდება სასურველი დონის კოორდინაცია ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა კონცეპტუალური დოკუმენტების განახლების ნაწილში, მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს იმას, თუ რა ქვია იმ საფრთხეს, რომელიც მომდინარეობს რუსეთის ფედერაციიდან. არის ეს „რბილი ძალა“, თუ არის ეს ჰიბრიდული



ომი ან ორივე ერთად და რას გულისხმობს ის ამ ტერმინებში. რაც მთავარია ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმისთვის, რომ ტერმინები იყოს ერთიანი, არამედ იმისთვის, რომ ეროვნულ დონეზე დაიგეგმოს უსაფრთხოების პოლიტიკა საფრთხეებიდან გამომდინარე. როდესაც ვამბობთ, რომ რუსეთი გვებრძვის ჰიბრიდული ომის მეთოდებით და ჰიბრიდული ომის დროს ზღვარი იშლება მშვიდობასა და ომს შორის, უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვაც და მიდგომაც მთავრობის უნდა შეესაბამებოდეს ადეკვატურად ამ საფრთხეს.

დღეს, როცა ნატო და ევროკავშირი გაერთიანებული ძალისხმევის მეშვეობით ეძებს გზებს დაუპირისპირდეს ჰიბრიდულ საფრთხეებს, ქმნის ქ. ჰელსინკში ჰიბრიდული საფრთხეების ბრძოლის ცენტრს, აძლიერებს ეროვნულ მედეგობას, სრულყოფს ერთიან ანალიტიკას და სადაზვერვო შესაძლებლობებს და როცა დასავლეთის ქვეყნები ახალი რეალობიდან გამომდინარე ცვლიან ტრადიციულ მიდგომებს ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და ერთიან სამთავრობო მიდგომას თან ურთავენ კერძო და მესამე სექტორის ჩართულობას, მნიშვნელოვანია საქართველომაც გაიზიაროს ეს პრაქტიკა. ვინაიდან საქართველო არის ის ქვეყანა, რომლის ტერიტორიების ოკუპაცია რუსეთმა მოახდინა საკუთარი ინტერესების უზრუნველსაყოფად, რეალურად წაშალა ზღვარი ომსა და მშვიდობას შორის და ის კვლავ განაგრძობს სხვადასხვა ეროვნული ძლიერების ინსტრუმენტების მეშვეობით დაუპირისპირდეს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს.